ინსტრუქციები

- თქვენ გაქვთ კონვერტი, რომელიც მონიშნულია როგორც: **B**. გთხოვთ, გადაამოწმოთ მასზე დაბეჭდილი მონაწილის კოდი.
- Question Paper, Sky Map და Summary Answersheet-ები მოთავსებულია პატარა კონვერტში **S**. **თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ეს კონვერტი (S) მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდის დაწყების ნიშნად სასტვენი დაისტვენს.** გამოცდის დრო (1 საათი) ამ მომენტიდან იწყება.
- **მოწყობა**:
  - თქვენ მონიჭებული გაქვთ ერთი ტელესკოპის "სადგური", სადაც ნახავთ ექვსინჩიან ნიუტონის ტელესკოპს ეკვატორული (EQ3) სამაგრით. გამოცდის დროს ყოველთვის უნდა დარჩეთ ტელესკოპის სიახლოვეში.
  - ტელესკოპი დაბალანსებულია ორივე ღერძზე და ასევე პოლუსისკენ არის მიმართული. ტელესკოპზე დამხმარე სამიზნე არ არის მიმაგრებული.
  - ჭერთან ახლოს, დიაგონალურად დარბაზის გასწვრივ დამონტაჟებულია დიდი პროექციის ეკრანი. გამოცდის დროს ტელესკოპი ამ ეკრანისკენ უნდა მიმართოთ.
  - სადგურზე ტელესკოპის გვერდით განთავსებულია საწერი დაფა და Equipment box, რომელიც შეიცავს შემდეგ ნივთებს:
    1. ორი ოკულარი (eyepiece): 25 მმ და 10 მმ (მაჩვენებელი ჯვრით)
    2. თავზე დასამაგრებული ფანარი
    3. მწვანე კალამი
    4. წამზომი

    გამოყენების შემდეგ ეს ნივთები სადგურზე უნდა დატოვოთ.
  - თქვენი ტელესკოპის სადგურზე დანიშნულია დამკვირვებელი. გთხოვთ, მიაწოდოთ თქვენი მონაწილის კოდი დამკვირვებელს შესამოწმებლად.
  - გამოცდის მიმდინარეობა შემდეგნაირად იქნება:

შუქები ჩართულია	**20 წთ**	კითხვების კითხვა და დაკვირვებების დაგეგმვა – მაგიდასთან
შუქები გამორთულია:	**25 წთ**	პროექციის მიმდევრობა – ტელესკოპთან
დრო (წთ:წმ)	**ხანგრძლივობა**	**პროექცია**
00:00 – 01:10	70 წმ	მისასალმებელი შეტყობინება (**გამოიყენეთ ტელესკოპის დასამიზნებლად**)
01:10 – 03:10	2 წთ	ცის ნიმუში (სიბნელის ადაპტაციისთვის, მიმართვისა და ფოკუსირებისთვის)
03:10 – 03:20	10 წმ	უკუთვლა ამოცანა OT01-ისთვის
03:20 – 09:20	6 წთ	ცა ამოცანა OT01-ისთვის
09:20 – 09:40	20 წმ	დაბლარული სურათი (**უნდა მოშორდეთ ტელესკოპს**)
09:40 – 10:40	1 წთ	გამოცდელის შეფასების დრო კითხვა OT01-ისთვის
10:40 – 14:40	4 წთ	შესვენება (შეგიძლიათ გააგრძელოთ მუშაობა თქვენს ფურცელზე)
14:40 – 15:00	20 წმ	კითხვა OT02-ის უკუთვლა
15:00 – 25:00	10 წთ	კითხვა OT02-ის 6 სვლა
შუქები ჩართულია	**15 წთ**	გამოთვლები და დასრულება – მაგიდასთან

- გამოცდის დასაწყისში, თქვენ გექნებათ 19 წუთი კითხვების ფურცლის წასაკითხად და თქვენი დაკვირვების წინასწარი დაგეგმვისთვის. ამ დროს დარბაზში შუქები ჩართული იქნება. ამ დროის ბოლოს, სასტვენი დაისტვენს და თქვენ უნდა დატოვოთ მაგიდა და მიუახლოვდეთ ტელესკოპს.

- შემდეგი 1 წუთის განმავლობაში, თქვენ უნდა გაეცნოთ Equipment Box-ის შიგთავსსა და ტელესკოპს, მაგრამ **არ გაქვთ უფლება მისი მიმართულების შეცვლა ზენიტიდან**.

- მე-20 წუთზე, სასტვენი კვლავ დაისტვენს და დარბაზი ჩაბნელდება. ახლა შეგიძლიათ დაიწყოთ დაკვირვებები ტელესკოპით. დარბაზი დარჩება ჩაბნელებული შემდეგი 25 წუთის განმავლობაში. ამ დროს ეკრანზე სხვადასხვა პროექციებს დაინახავთ.

- დამკვირვებელი **არ** დაგეხმარებათ პირველი კითხვის (OT01) დროს ტელესკოპის ეკრანისკენ მიმართვაში.

- პირველ კითხვაში (OT01), თქვენ უნდა მიმართოთ ტელესკოპი ეკრანზე მოცემული ობიექტისკენ. 6 წუთის შემდეგ, ეკრანი დაბლარდება 20 წამით, რომლის დროსაც უნდა მოშორდეთ ტელესკოპს.

- 20 წამის შემდეგ, ცის პროექცია აღდგება ზუსტად იგივე ხედით, როგორც ადრე. დამკვირვებელი ახლა შეამონმებს ტელესკოპის მიმართულებას.

- პირველი კითხვის დასრულების შემდეგ, იქნება 4 წუთიანი შესვენება. **თუ ვერ მოახერხეთ ტელესკოპის სწორად მიმართვა პირველ კითხვაზე, შეგიძლიათ ახლა სთხოვოთ დამკვირვებელს, რომ მიმართოს ის ეკრანისკენ მეორე კითხვისთვის შესვენების დასაწყისში. თუმცა, ეს გამოიწვევს 1 ქულის დაკლებას.**

- კითხვა OT02-ის დასრულების შემდეგ, დარბაზში შუქები ჩაირთვება და თქვენ უნდა დაბრუნდეთ მაგიდასთან. თქვენ გექნებათ 15 წუთი თქვენი გამოთვლების დასასრულებლად.

- **გამოცდის დასასრულს:**

  - შეამონმეთ, რომ სწორად გაქვთ დაწერილი თქვენი მონაწილის კოდი და გვერდების ნომრები ყველა გამოყენებულ ფურცელზე.

  - დაალაგეთ თქვენი ფურცლები შემდეგი თანმიმდევრობით:
    (OT01)-ის Summary Answersheet, ცის რუკა Map-OT01, (OT01)-სთვის გამოყენებული Working Sheet(ები), (OT02)-ის Summary Answersheet, (OT02)-სთვის გამოყენებული Working Sheet(ები).

  - ზემოთ აღნიშნული ფურცლების შეკვრა მოათავსეთ პატარა კონვერტში $\boxed{\text{S}}$. ორივე შეჯამების პასუხების ფურცელი უნდა მოთავსდეს კონვერტში $\boxed{\text{S}}$ მიუხედავად იმისა, გამოიყენეთ თუ არა ისინი.

  - **მხოლოდ პატარა კონვერტის $\boxed{\text{S}}$ შიგთავსი შეფასდება. ნებისმიერი ფურცელი, რომელიც არ არის მოთავსებული ამ კონვერტში, არ შეფასდება.**

  - პატარა კონვერტი $\boxed{\text{S}}$ მოათავსეთ დიდ კონვერტში $\boxed{\text{B}}$.

  - ყველა სხვა ფურცელი, კერძოდ, Instruction Sheet(ები), Question Paper(ები), Data Sheet(ები) და გამოუყენებელი Working Sheet(ები) უნდა მოთავსდეს პირდაპირ დიდ კონვერტში $\boxed{\text{B}}$.

  - შეაბით ძაფის ბეჭედი კონვერტზე $\boxed{\text{B}}$.

  - გადაეცით კონვერტი $\boxed{\text{B}}$ დამკვირვებელს. დარწმუნდით, რომ მაგიდაზე არ დარჩა არცერთი ფურცელი.